საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 943-03
13/06/2025

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლიდან წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის სტუდენტ კანდიდატთა რეგისტრაციის, არჩევნების ჩატარების ვადებისა და პროცედურის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-14 მუხლის, მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 7 ნოემბრის №9 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების" მე-3 და მე-4 მუხლების საფუძველზე

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის კანდიდატთა არჩევნები სამართლის სკოლიდან სტუდენტური კვოტიდან ერთ ვაკანტურ ადგილზე;

2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლიდან წარმომადგენლობით საბჭოში წარმომადგენლობით საბჭოს წევრობის სტუდენტ კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2025 წლის 16 ივნისიდან 20 ივნისის ჩათვლით, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე უნივერსიტეტის კანცელარიაში (ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5);

3. ამ ბრძანების მეორე პუნქტით განსაზღვრული რეგისტრაციის გასავლელად კანდიდატმა უნდა შეავსოს თანდართული განაცხადის ფორმა (დანართი 1). განაცხადს თან უნდა ახლდეს შემდეგი დოკუმენტები:

ა) კანდიდატის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) ცნობა აკადემიური მოსწრების შესახებ.

4. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს კანდიდატი სტუდენტური კვოტიდან უნდა იყოს სამართლის სკოლის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, უნდა ქონდეს მაღალი აკადემიური მოსწრება - საუნივერსიტეტო რეიტინგის მიხედვით არანაკლებ 91 ქულისა და არ უნდა იყოს ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს წევრი და უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენელი;

5. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი შეავსოს 2 სამუშაო დღის განმავლობაში. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის უარი რეგისტრაციაზე კანდიდატს შეუძლია გაასაჩივროს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან 1 სამუშაო დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს საჩივრის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში;

6. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს, უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას 2025 წლის 18 ივნისამდე მიაწოდოს აქტიურ სტუდენტთა სია, პირადი ნომრის მითითებით;

7. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლიდან წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის სტუდენტ კანდიდატთა არჩევნები ჩატარდეს 2025 წლის 24 ივნისს A411 ოთახში 12:00 საათიდან 16:00 საათამდე;

8. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის (სტუდენტები) კანდიდატთა არჩევნებში მონაწილეობს სამართლის სკოლის ყველა აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი.

9. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის მოადგილეს ირინე ბაზღაძეს დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის გაცნობა სამართლის სკოლის სტუდნეტებისათვის ,,არგუსის“ მეშვეობით;

10. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;

11. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატს, სამართლის სკოლას, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას, იურიდიულ სამსახურს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი